საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1985
24/05/2022

1985-21-2-202205241403

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10274 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ამბროლაურში მდ. რიონის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში (მათ შორის ცხრილებში) მოცემული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართული შრიფტით;
- დოკუმენტში აღწერილი უნდა იყოს ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები;
- სკრინინგის განცხადების „შესავალში“ აღნიშნულია, რომ ნაპირის სტაბილიზაციისათვის უნდა მოეწყოს გაბიონის კონსტრუქციის ნაპირსამაგრი ნაგებობა, ხოლო „პროექტის მოკლე აღწერაში“ მითითებულია, რომ ნაპირის სტაბილიზაციისათვის საჭიროა მოეწყოს ქვანაყარი ბერმა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობის ტიპი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო